,,დამტკიცებულია''

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომაზე

დადგენილება №107(17/18)

„ 26 „ ივნისი „ 2018 წ.

რექტორი: გიორგი ღავთაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა

სისტემების ადმინისტრატორი

საკონტაქტო ინფორმაცია:
ქუთაისი, თამარ მეფის ქ. #59.
ტ: 593-564-299,
E-mail: Teimurazkochadze@Yahoo.com

პროგრამის ხელმძღვანელი:
თეიმურაზ ფესტვენიძე
აწსუ - ის ასოც. პროფესორი

ქუთაისი
2018 წ.

I. **პროგრამის სახელწოდება:** სისტემების ადმინისტრატორი

II. **ჩარჩო დოკუმენტის სარეგისტრაციო ნომერი:** 06103-3

III. **მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია:** სისტემების ადმინისტრატორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია

IV. **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** სრული ზოგადი განათლება

V. **კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია დასაქმდეს სერვერული ინფრასტრუქტურის მქონე ან/და ინფორმაციული ტექნოლოგიების სერვისებით მოსარგებლე ნებისმიერ მცირე და საშუალო ზომის ორგანიზაციაში, ასევე ტელესაკომუნიკაციო პროფილის მქონე ორგანიზაციებში, ბანკებში, მონაცემთა მართვის სააგენტოებში და სხვა ნებისმიერ დიდი ზომის ორგანიზაციაში სისტემების ადმინისტრატორად.

VI. **პროგრამის მიზანი:** პროგრამის მიზანია მსმენელს მისცეს ინფორმაციული ტექნოლოგიების სისტემების გამართვის, მხარდაჭერის, ადმინისტრირების, ოპტიმალურ და უსაფრთხო ფუნქციონირებისათვის საჭირო ბაზისური თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ–ჩვევები.

VII. **სწავლის შედეგები:**
პროგრამის დასრულების შემდეგ პირს შეუძლია:

- სამუშაო გარემოს შრომის უსაფრთხოების ნორმების გათვალისწინებით მოწყობა
- სერვერული ინფრასტრუქტურის მოწყობა-გავითარება
- სერვერული ინფრასტრუქტურის გეგმიურ მომსახურება/მონიტორინგი/აუდიტი
- ხარვეზების აღმოჩენა–აღმოფხვრა
- ინფრასტრუქტურული და კლიენტ სერვისების გამართვა/მომსახურება
- უსაფრთხოექსპლუატაციისპირობებისშექმნა-შენარჩუნებას
- ინფრასტრუქტურის დოკუმენტაციის განახლება/შექმნა

VIII. **პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა.**

1. **ქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 104 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 17 სასწავლო თვე

2. **არქართულენოვანი სტუდენტებისათვის:**

- **მოცულობა:** 134 კრედიტი
- **ხანგრძლივობა:** 22 სასწავლო თვე

IX. პროგრამის სტრუქტურა და მოდულები:

ზოგადი მოდულები			
№	მოდულის დასახელება	მოდულზე დაშვების წინაპირობა	კრედიტი
1	ინფორმაციული წიგნიერება 2	სრული ზოგადი განათლება	3
2	მეწარმეობა 3	სრული ზოგადი განათლება	3
3	ინგლისური ენა	საბაზო განათლება	5
ჯამი			11
სავალდებულო პროფესიული მოდულები			
4	გაცნობითი პრაქტიკა-სისტემების ადმინისტრატორი	საბაზო განათლება	2
5	კომპიუტერული ქსელები	სრული ზოგადი განათლება	5
6	პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია	სრული ზოგადი განათლება	5
7	IT-პროექტების მენეჯმენტი	საბაზო განათლება	3
8	სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვა	**მოდული**: ➢ ინფორმაციული წიგნიერება 2	5
9	ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოება	**მოდულები:** ➢ პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია; ➢ კომპიუტერული ქსელები	4
10	დირექტორიების სერვისების გამართვა	**მოდული:** სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვა	5
11	დარგობრივი ინგლისური სისიტემების ადმინისტრატორებისათვის 1	სრული ზოგადი განათლება	5
12	კლიენტებისა და სერვერების ვირტუალიზაცია	**მოდული:** დირექტორიების სერვისების გამართვა	5
13	საფოსტო და საკომუნიკაციო სერვერების გამართვა	**მოდული:** დირექტორიების სერვისების გამართვა	5
14	ვებ, ფაილური და მონაცემთა სერვერების გამართვა	**მოდული:** დირექტორიების სერვისების გამართვა	5
15	Linux სისტემების ადმინისტრირება	**მოდული:** ➢ სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვა	5
16	კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები	**მოდულები:** ➢ კლიენტებისა და სერვერების ვირტუალიზაცია; ➢ ვებ, ფაილურ და მონაცემთა სერვერების გამართვა; ➢ საფოსტო და საკომუნიკაციო სერვერების გამართვა	5
17	დარგობრივი ინგლისური სისტემების ადმინისტრატორებისათვის 2	სრული ზოგადი განათლება	4
18	პრაქტიკული პროექტი სისტემების ადმინისტრატორისავის	სრული ზოგადი განათლება	6
19	საწარმოო პრაქტიკა - სისტემების ადმინისტრატორი	სრული ზოგადი განათლება	12
ჯამი			81
არჩევითი მოდულები			
20	Linux სისტემების უსაფრთხოება	**მოდული:** ➢ Linux სისტემების ადმინისტრირება	3
21	ეთიკური ჰაკინგი	**მოდული:** ➢ Linux სისტემების ადმინისტრირება	2
22	UNIX ოპერაციული სისტემა	**მოდული**: ➢ ინფორმაციული წიგნიერება 2	3
23	სკრიპტული ენები სისტემური ადმინისტრატორებისთვის	**მოდულები:** ➢ დირექტორიებისსერვისებისგამართვა; ➢ Linux სისტემების ადმინისტრირება.	4
ჯამი			12
სულ			104

X. ქართული ენის მოდულების გავლის შესახებ:

„მოდულების, ქართული ენა A2 და ქართული ენა B1გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის ბრძანება №152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე ტესტირების გზით. აღნიშნული პირებისათვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით."

XI. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება:

1. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.
2. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.
3. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
   ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
   ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.
4. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე.
5. შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალტერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.

XII. პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება:

პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დააგროვოს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრული მოდულებით გათვალისწინებული კრედიტები.

XIII. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლებისათვის:

შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული კრედიტები პირს ენიჭება მხოლოდ შესაბამისი სწავლის შედეგების დადასტურების შემთხვევაში, ხოლო კვალიფიკაცია - XII პუნქტით გათვალისწინებული წესით.

1- პროგრამა

დანართები:

დანართი 1 ზოგადი, სავალდებულო პროფეიული და არჩევითი მოდულები

დანართი 2 ქართული ენის მოდულები

დანართი 3 სასწავლო გეგმა (ქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 4 სასწავლო გეგმა (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

დანართი 5 პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი

ზოგადი მოდულები:

1.1. ინფორმაციული წიგნიერება 2;
1.2. მეწარმეობა 3;
1.3. ინგლისური ენა;

სავალდებულო პროფესიული მოდულები:

1.4. გაცნობითი პრაქტიკა - სისტემების ადმინისტრატორი;

1.5. კომპიუტერული ქსელები;

1.6. პერსონალური კომპიუტერის არქიტექტურა და ორგანიზაცია;

1.7. IT-პროექტების მენეჯერი;

1.8. სერვერული ინფრასტრუქტურის გამართვა;

1.9. ინფორმაციული და კომპიუტერული უსაფრთხოება;

1.10. დირექტორიების სერვისების გამართვა;

1.11. დარგობრივი ინგლისური სისიტემების ადმინისტრატორებისათვის 1;

1.12. კლიენტებისა და სერვერების ვირტუალიზაცია;

1.13.. საფოსტო და საკომუნიკაციო სერვერების გამართვა;

1.14.. ვებ, ფაილური და მონაცემთა სერვერების გამართვა;

1.15. Linux სისტემების ადმინისტრირება;

1.16.. კონტროლისა და მონიტორინგის სისტემები;

1.17.. დარგობრივი ინგლისური სისტემების ადმინისტრატორებისათვის 2;

1.18.. პრაქტიკული პროექტი სისტემების ადმინისტრატორისავის;

1.19.. ს.აწარმოო პრაქტიკა - სისტემების ადმინისტრატორი;

არჩევითი მოდულებიი

1.20. Linux სისტემების უსაფრთხოება;

1.21.ეთიკური ჰაკინგი;

1.22. UNIX ოპერაციული სისტემა;

1.23.სკრიპტული ენები სისტემური ადმინისტრატორებისთვის;

ზოგადი მოდულები: (არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის)

2.1. ქართული ენა A2
2.2. ქართული ენა B1